ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის კეთილმოწყობის სამსახური

N 13509-25 14/07/2016

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციის უფროსს
ბატონ ნუკრი დეკანაძეს

ბატონო ნუკრი,

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში შემოვიდა ფაქტ-მეტრის რეგიონალური ანალიტიკოსის მაია მერკვილაძის (21231/25 08.07.2016) კორესპონდენცია, სადაც ითხოვს ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების სამუშაოებზე საჯარო ინფორმაციას.

მოგახსენებთ აღნიშნულთან დაკავშირებით:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,გზა''-ს შორის 2011 წლის 20 ოქტომბერს გაფორმდა N309 ხელშეკრულება ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, რომლის დასრულების ვადა გათვალისწინებული იყო 2012 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ქუჩის მონაკვეთზე განლაგებული იყო სარკინიგზო ლიანდაგები, სამუშაოთა წარმოება საპროექტო გზის მონაკვეთზე შეუძლებელი იყო. აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული იყო საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაცია, რომელმაც ვერ უზრუნველყო სარკინიგზო ლიანდაგების დემონტაჟი. სარკინიგზო ლიადაგების დემონტაჟი განხორციელდა 2013 წლის ზაფხულში, რის შემდგომაც განახლდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ერისთავის ქუჩის მონაკვეთზე არ იყო გადატანილი სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია''-ს საკუთრებაში არსებული მაღალი ძაბვის საჰაერო გადამცემი ხაზები, რომელიც გადიოდა ქუჩის საპროექტო ნაწილში. ასევე გადასატანი იყო ორი სატრანსფორმატორო ქვესადგური, არ იყო გადაწყვეტილი მ.ვარშანიძის ქუჩის მონაკვეთზე ორდონიანი სავალი ნაწილის მოწყობის ნაცვლად ბაგრატიონის ქუჩის მონაკვეთზე შავშეთისა და სულაბერიძის შორის ერთდონიანი სავალი

6010 ლუკა ასათიანის ქ. №25 ტელ: 0 (422) 24 64 02
0 (422) 24 63 17

ნაწილის მოწყობა. ასევე გადასაწყვეტი იყო მოცემულ მონაკვეთზე მცხოვრებ მოსახლეობაზე გასაცემი კომპენსაციების საკითხი აუცილებელი ექსპროპრიაციის გამო და შესაბამისად გზის საპროექტო ნახაზების დაზუსტება ტერიტორიის ათვისების შემდგომ. სარეკონსტრუქციო ქუჩაზე უცნობი იყო მესამე ფაზის ფარგლებში საკანალიზაციო სისტემის დასრულების ვადები და ცენტრალური მილსადენის იზოლაციის სამუშაოების დასრულება, რის გამოც სამუშაოები შეჩერებული იყო აღნიშნული სისტემის მოწყობის დასრულებამდე.

დღეის მდგომარეობით სამუშაოების წარმოებას ხელს უშლის ხელს უშლის ერისთავის ქუჩის N55/24 სახლის მაცხოვრებლების წინააღმდეგობა. მათი აზრით, სამუშაოების წარმოების პროცესში მოხდა ამ სახლის დაზიანება და უვარგისია საცხოვრებლად. ბათუმის მერიის მიერ განხორციელდა სახლის ექსპერტიზა, რომლის შესაბამისად სახლი ექვემდებარებოდა გამაგრებას, რისი კატეგორიული წინააღმდეგი იყო სახლის მაცხოვრებლები, რომლებიც მოითხოვდნენ ახალი საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებას. სამუშაოების გარკვეულ ეტაპზე მათ მოახდინეს ტექნიკის პიკეტირება, შეურაცხყოფა მიაყენეს მომუშავე პერსონალს, ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ სამუშაოების წარმოებას. გარკვეული მოლაპარაკებების შემდეგ მაცხოვრებლებმა მოითხოვეს იმ თანხის გადაცემა ამხანაგობისთვის, რაც უნდა მოხმარებოდა სახლის გამაგრებას და გამაგრების პროცესში სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ბინის ქირით უზრუნველყოფას, რის საფუძველზე მოიძიებდნენ ინვესტორს მათი გარემონტებული ბინებით დაკმაყოფილების მიზნით. მიმდინარე პერიოდისათვის ინვესტორი მოძიებულია, ხელშეკრულებები გაფორმებულია მაცხოვრებლებსა და ინვესტორს შორის, ქმნიან ბინათმშენებლობის ამხანაგობას, რის შემდგომ გაფორმდება ხელშეკრულება ბინათმშენებლობის ამხანაგობასა და ინვესტორს შორის. აღნიშნულ ხელშეკრულებას წარმოადგენენ ქ. ბათუმის მერიაში. შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ განხორციელდება სამმხრივი შეთანხმება მერიას, ინვესტორსა და ბინათმშენებლობის ამხანაგობას შორის, რის საფუძველზეც დაკმაყოფილდება მათი მოთხოვნა. ყოველივე ამისათვის სავარაუდოდ, საჭიროა იქნება 2 კვირა, რის შემდგომ კონტრაქტორი კომპანია გააგრძელებს მუშაობას ობიექტზე.

სარეკონსტრუქციო ქუჩა შეადგენს საერთო სიგრძით-2134.00 გრ.მ, დარჩენილია 250მ და ე.წ. ,,ბონის'' კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. შესრულებულია 11759554,87 ლარის სამუშაოები. სამუშაოები მიმდინარეობს დღესაც.

თენგიზ პეტრიძე

სამსახურის უფროსი